

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბონდო ღლონტის ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამირჩიეს გურიანთის მაჟორიტარული ოლქიდან, ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება ეროვნული ფორუმი“-ს თავმჯდომარე 2015 წლის 6 ოქტომბრიდან.

2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მიქვს მიღებული 18 ბიუროსა და 21 საკრებულოს სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 98 განკარგულება, დამტკიცდა 46 დადგენილება. ჩატარდა ფრაქციის 3 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, ფრაქციამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს.

ასევე ვარ ორი კომისიის, სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდ კომისიების სხდომებში.

სულ ჩატარდა 24-24 კომისიის სხდომა. 2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე შემოვიდა 70 განცხადება და შეხვედრა მქონდა 63 ამომრჩეველთან.

მოქალაქეებთან შეხვედრისას და განცხადებების განხილვისას პრობლემები ძირითადად ეხებოდა:

- ❖ გაზიფიცირებას, გარე განათებას
- ❖ შიდა ცენტრალური გზების ასფალტირებას
- ❖ სანიაღვრე არხების გაწმენდას
- ❖ ციხისფერდში სასმელი წლის პრობლემის მოგვარებას
- ❖ ამბულატორიის, მუზეუმის, ბაღის, კლუბის სახურავების გამოცვლას
- ❖ მატარებლის სადგურ „კახური“-ს მოსაცდელის მოწესრიგებას
- ❖ ორთავე სკოლის წინ საგზაო ბარიერების გაკეთებას
- ❖ სოციალურად დაუცველი ადამიანების ოპერაციებისა და წამლებისთვის საჭირო ფინანსური დახმარების გაწევას.

აღნიშნული პრობლემებიდან აღსაღნიშნავია რომ სოფ. გურიანთაში გაზიფიცირება სრულად დამთავრებულია, ციხისფერდის სკოლასთან გაკეთებულია გადასასვლელი ბარიერი, რომელიც დაფინანსდა დაახლოებით 3000 ლარით. ასევე მოსახლეობის მოთხოვნით, ვაშნარში რისკ ფაქტორების - ავარიების თავიდან

ასაცილებლად გატარდა პრევენციული ღონისძიებები - ცენტრალურ გზაზე დაიდგა საგზაო ნიშნები.

სოფლის პროგრამით გამოყოფილი 50.000 ლარი დაიხარჯა მხოლოდ მოსახლეობასთან შეთანხმებით, სოფლის კრების გადაწყვეტილების გათვალისწინებით. მოკლედ იმის შესახებ თუ რა გაკეთდა საანგარიშო პერიოდში:

- მოსახლეობა ითხოვდა გარე განათების დამონტაჟებას, რომლის 80 % შესრულდა
- დამონტაჟდა 205 ნათურა 17 უბანში.
- გარემონტდა სტადიონის ღობე და ბაღში გაკეთდა სასმელი წყლის კაპიტალური ჭა
- ციხისფერდში ე.წ. „კვირკველიების უბანში“ გაკეთდა 70 მ/კ სიგრძის ბეტონის გზა, რომლის თანხამ შეადგინა 13.000 ლარი
- ასევე ე.წ. „კარპოვების უბანში“ მდინარე სკურდუმთან 80მ სიგრძის გაბიონი და გააწორხაზოვნება, რომლიც დაფინანსდა 28000 ლარამდე
- მოხრეშვითი სამუშაოებისთვის გამოიყო 4733 ლარი
- შემოტანილი იქნა 126 კუბ/მ ღორღი და იმუშავა ტექნიკამ,
- რაც შეეხება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მთელი წლის განმავლობაში მოგვმართა 70-მა მოქალაქემ და მათ დასახმარებლად გამოიყო 15,280 ლარი.
- მოქალაქე გ. ალიბეგაშვილმა მოგვმართა, რომ 30 წლის მანძილზე ვერ ახერხებდა სახლის დაკანონებას, მას გაეწია დახმარება და დღეს უკვე სახლი საკუთრებაში აქვს.
- გამგებლის დახმარებით ოპერაციისთვის ფინანსური დახმარება გაეწია მოქალაქე ჯ. ყაველაშვილს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს:

- ✓ 2016 წლისთვის დაგეგმილია 2.600 კ/მ პროექტი სოფ.ოზურგეთი-გურიანთის გზის ასფალტირება, რომლის სამუშაოები გაზაფხულიდან დაიწყება; დარჩენილი გზის საკითხი გაგრძელდება 2017 წელს;
- ✓ აპრილის თვეში დაგეგმილია სკოლის წინ ბარიერის გაკეთება, რაც შეეხება 2016 წლისთვის სოფლის პროგრამით გამოყოფილ თანხებს, თქვენთან შეთანხმებით მოხდება გადანაწილება და გთხოვთ მეტ ჩართულობას.